



ზურაბ გორგოძე

შავი ზღვის უსაფრთხოება - რეგიონის წინაშე არსებული
გამოწვევები და პერსპექტივები

თბილისი

2019

ანოტაცია

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების საკითხის კვლევის მიზანს, წარმოადგენდა რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პერსპექტივების ანალიზი. განხორციელებული კვლევიდან გამომდინარე მივიღეთ გარკვეული შედეგი, რამაც დაგვანახა საკითხის უფრო ღრმა მიმართულებები, რომლებიც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ნაშრომი „შავი ზღვის უსაფრთხოება-რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევები და პერსპექტივები“, შედგება სამი თავისგან. პირველ თავი „შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები და მათი ჩართულობა შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, თავის მხრივ შედგება ხუთი ქვეთავისგან: უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთისა და რუსეთისაგან. ნაშრომის მეორე თავი „საქართველო და შავი ზღვის უსაფრთხოება“, აღწერს საქართველოს ინტერესებს და ჩართულობას შავი ზღვის რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მეორე თავის პირველ ქვეთავში საუბარია რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, არარეგიონალური გლობალური სახელმწიფოების ინტერესებსა და მათ ჩართულობაზე. მესამე თავი „ანაკლიის პორტი-განვითარების ახალი პერსპექტივა საქართველოსთვის“, წარმოადგენს ექსპერტთა მოსაზრებებს საქართველოსთვის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში.

Annotation

The purpose of the study was to analyze the challenges and perspectives facing the Black Sea region. Based on the research we have received a result, which has shown us the deepest direction of the issue that needs further research.

The work "Black Sea Security-Challenges and Perspectives Facing the Region" consists of three chapters. The first chapter "The Geopolitical interests of the Black Sea region countries and their involvement in the protection of the Black Sea" consists of five subdivisions: Ukraine, Romania, Bulgaria, Turkey and Russia. The second chapter "Georgia and the Black Sea Security" describes Georgia's interests and engagement in providing the military-political and economic security of the Black Sea region. The second chapter deals with the interests of non-regional global states and their involvement in the ongoing processes in the region. The third chapter "Anaklia Port-Development New Perspective for Georgia" represents expert opinions on the strategic importance of the deep-sea port of Anaklia for Georgia in the political and economic context.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	4
თავი I. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები და მათი ჩართულობა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში	6
1.1 უკრაინა.....	8
1.2 რუმინეთი.....	10
1.3 ბულგარეთი	11
1.4 თურქეთი.....	14
1.5 რუსეთი.....	17
თავი II. საქართველო და შავი ზღვის უსაფრთხოება.....	21
2.1 არარეგიონალური გლობალური სახელმწიფოების ინტერესები საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში	23
თავი III. ანაკლიის პორტი - განვითარების ახალი პერსპექტივა საქართველოსთვის.....	31
დასკვნა	35
გამოყენებული ლიტერატურა.....	36

შესავალი

თემის აქტუალობა: ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სულ უფრო აქტიურად გამოიყენება "შავი ზღვის", იგივე "Wider Black Sea" რეგიონის ტერმინი და, შესაბამისად, ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც შეხება აქვს შავი ზღვის აუზის რომელიმე ქვეყნის უსაფრთხოებასთან, პირდაპირ განიხილება საერთო რეგიონალური უსაფრთხოების კრილში. შავი ზღვის რეგიონის შესახებ დებატები, ცივი ომის შემდგომი რეგიონალური უსაფრთხოების დღის წესრიგის ჩამოყალიბების მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობდა და ბოლო წლების განმავლობაში უფრო გააქტიურდა.

თემის მიზანი: თემის მიზანია, წარმოაჩინოს შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესები და მათი ჩართულობა რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკური უსაფრთხოების კონტექსტში.

თეორიული ჩარჩო: მიმდინარე ნაშრომში საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებიდან, გამოყენებულია ნეორეალიზმისა და თავდაცვითი რეალიზმის თეორიები. ნეორეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს. თავდაცვითი რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოთა მთავარი მიზანი არის ძალის შენარჩუნება და არა მისი გაზრდა.

საკვლევი კითხვა: საკვლევი კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რატომ არის შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვანი, გავლენის სფეროების გაფართოება სხვადასხვა მიმართულებით, განვითარებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესებში.

ჰიპოთეზა: სხვადასხვა ფაქტებისა და მეცნიერული შეხედულებებიდან გამომდინარე, შავი ზღვის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში, გავლენის მოპოვების მიზნით, სახელმწიფოთა ქმედებები ახალი „ცივი ომი“-ს ნიშნებს შეიცავს, სადაც ერთმანეთს კვეთენ, რეგიონის წინაშე არსებული გამოწვევები და პერსპექტივები.

კვლევის მეთოდები: ჩამოყალიბებული ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი, აგრეთვე თვისობრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდში ვგულისხმობთ სტატისტიკური მონაცემების მოძიებასა და გამოყენებას, ხოლო თვისობრივი კვლევის მეთოდში იგულისხმება მონაცემთა ანალიზი, შედარებითი ანალიზი და შემთხვევის შესწავლის თვისობრივი მეთოდი.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში მიმოხილულია შავი ზღვის რეგიონის ისტორიული მნიშვნელობა და წარმოდგენილია ხუთი ქვეთავი, სადაც საუბარია შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა ინტერესებსა და ჩართულობაზე, რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მეორე თავში, აღწერილია საქართველოს ინტერესები და ჩართულობა შავი ზღვის რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მეორე თავის პირველ ქვეთავში საუბარია, არარეგიონალური სახელმწიფოების ინტერესებსა და მათ ჩართულობაზე რეგიონში მიმდინარე პროცესებში. მესამე თავში განხილულია ექსპერტთა მოსაზრებები, საქართველოსთვის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურის აღწერა: გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ წყაროებში ლიტერატურა ნაკლებად გვხვდება, ნაშრომში გამოყენებულია ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რომელიც მოიცავს, როგორც წიგნებს, სტატიებს და პოლიტიკის დოკუმენტებს, აგრეთვე კონვენციას და საერთაშორისო ხელშეკრულებას. ქართული წყაროებიდან ძირითადად გამოყენებულია საქართველოს ალ.რონდელის სახელობის სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პუბლიკაციები. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ინტერნეტ რესურსი, როგორც არის სტატიები, ბლოგები და ინტერვიუები ექსპერტებთან.

თავი I. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები და მათი ჩართულობა რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

შავი ზღვის ¹ რეგიონს საუკუნეების განმავლობაში, მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერია, საფრანგეთ-პრუსიის ომის მიმდინარეობისას ცდილობა, გამოეყენებინა შანსი და დაებრუნებინა 1856 წლის პარიზის შეთანხმებით დაკარგული ყირიმის ნახევარკუნძული.²

აღნიშნული ნახევარკუნძული, რუსეთის იმპერიისთვის იყო მნიშვნელოვანი სამხედრო ბერკეტი, რომელსაც ჰქონდა სტრატეგიული დატვირთვა არა მარტო შავ, არამედ ხმელთაშუა ზღვაზე გავლენის მოსაპოვებლად.³

რუსეთის დამოკიდებულება ნახევარკუნძულთან მიმართებით არც საბჭოთა კავშირის პერიოდში შეცვლილა. ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებულ, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სევასტოპოლის პორტში საბჭოთა საბრძოლო ხომალდების ყოფნა, ზრდიდა რუსეთის გავლენას შავი ზღვის რეგიონზე, რაც დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

¹ შავი ზღვა (ბერძ. Μαύρη Θάλασσα; ბულგ. Черно море; თურქ. Karadeniz; რუმ. Marea Neagră; რუს. Чёрное море; უკრ. Чорне море) — ატლანტის ოკეანის ხმელთაშუა ზღვა ევროპასა და მცირე აზიას შორის. ესაზღვრება თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო. ჩრდილო-აღმოსავლეთით ქერჩის სრუტით უკავშირდება აზოვის ზღვას, სამხრეთ-დასავლეთით ბოსფორის სრუტით — მარმარილოს ზღვას, შემდეგ დარდანელის სრუტით — ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებს. შავი ზღვა ყველაზე ღრმად იჭრება ევრაზიის კონტინენტში. შავ ზღვას დიდი სატრანსპორტო მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ინარჩუნებს მნიშვნელოვან სტრატეგიულ და სამხედრო მნიშვნელობას. სევასტოპოლსა და ნოვოროსიისკში არის რუსეთის შავიზღვისპირა ფლოტის ძირითადი სამხედრო ბაზები; სინოპსა და სამსუნში — ბაზირდება თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შავიზღვისპირა დაჯგუფების გემები; ვარნაში — ბულგარეთის სამხედრო-საზღვაო ძალები, ფოთსა და ბათუმში — საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები, კონსტანცაში და მანგალიაში — რუმინეთის სამხედრო-საზღვაო ძალები; https://ka.wikipedia.org/wiki/შავი_ზღვა

² Crimean War; History; November 9, 2009; <https://www.history.com/topics/british-history/crimean-war>

³ Why Russia wants Crimea; History; July 12, 2018; <https://www.history.com/news/crimea-russia-ukraine-annexation>

2014 წელს, უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომითა და ყირიმის ნახევრაკუნძულის ანექსიით, რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისი ერთპიროვნული პოზიცია, რომელიც გულისხმობს შავი ზღვის რეგიონში გავლენის სფეროების ზრდას და ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკისათვის ხელის შეშლას.

2011 წელს, ევროპარლამენტის მიერ მიღებულ „შავი ზღვის სტრატეგია“,⁴ 2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტი და 2017 წელს ბუქარესტში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონი და მისი უსაფრთხოების მნიშვნელობა საერთაშორისო ასპარეზზე გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად 2014 წლის უკრაინის მოვლენებმა განსაზღვრა.

რეგიონის უსაფრთხოების გარემოს რამოდენიმე განზომილება გააჩნია, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და რომელთა განცალკევებით განხილვა დაუშვებელია. გარდა პოლიტიკური და სამხედრო განზომილებისა, უსაფრთხოების გაგებასთან პირდაპირ კავშირშია სატრანსპორტო-ენერგეტიკული და სავაჭრო-ეკონომიკური სფეროები.⁵

შავი ზღვა არის ბუნებრივი ხიდი, რომელიც ევროპას აკავშირებს კასპიის რეგიონთან და მის მიღმა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან. შავ ზღვას ევროკავშირისთვის ყოველთვის ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომლებიც მდებარეობენ შავი ზღვა-დუნაის აუზის გასწვრივ. ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მილსადენის

⁴ European Parliament resolution of 20 January 2011 on an EU Strategy for the Black Sea; 20 January, 2011; <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN>

⁵ თბილისში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღეს; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; <http://mfa.gov.ge/News/tbilisshi-gamartuli-natos-saparlamento-asambleis-r.aspx?CatID=5&lang=ka-GE>

პროექტების წარმატებაზე, რომლებიც გადის სამხრეთ კავკასიაზე, უკრაინაზე, თურქეთსა და ევროკავშირის წევრ ზღვისპირა სახელმწიფოებზე.⁶

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფონზე, ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბების ნიშნები, როგორც არის: ეროვნული საზღვრების შეცვლა, ძალის გამოყენების მუქარა, სამხედრო გაძლიერება და დასავლეთთან გეოპოლიტიკური კონკურენცია, სულ უფრო შესამჩნევია, შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შემდგომში ეკონომიკური განვითარების დღის წესრიგის განსაზღვრა სხვა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მთავრობებისთვის, უფრო და უფრო რთული ხდება.

1.1 უკრაინა

შავი ზღვა, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ არტერიად რჩება, უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთისა და რუსეთის მძაფრი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზი გახდა. სამწუხაროდ, ნატომ გვიან მიაქცია ყურადღება შავ ზღვაზე რუსეთის სასარგებლოდ შექმნილ ახალ რეალობას. ეს საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიის შემდეგ დაისვა და იქცა მთავარ თემად შავი ზღვის უსაფრთხოების კონტექსტში.⁷

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ასპარეზზე უკრაინის მნიშვნელობასა და მის როლზე ხშირად ხდება ხაზგასმა, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უკრაინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ფორმატებსა და რეგიონულ ურთიერთობებში ამ საკითხის წინ წამოწევა. ჯერ კიდევ 2015 წლის მარტში უკრაინის მაშინდელმა პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ

⁶ გოგოლაშვილი კახა; ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS); თბილისი 2018; <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2651.pdf>

⁷ გახარია ჯემალი; შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროს კონვენცია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო; 21 ივლისი, 2016; <https://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/824--80-.html>

ანექსირებული ყირიმი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას არამედ შავი ზღვის რეგიონში წარმოშობს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საშიშროებასაც.⁸

უკრაინას, შავი ზღვის რეგიონში, მისი ინტერესების დასაცავად, ხშირად ჰქონია განზრახვა, შეექმნა ძლიერი სანაპირო საზღვაო ფლოტი. ამის შესახებ 1991 წელს, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, უკრაინის იმ დროინდელი თავდაცვის მინისტრი, კონსტანტინე მოროზოვიც აცხადებდა.⁹ ის ამბობდა, რომ უკრაინა შექმნიდა ძლიერ სამხედრო და საზღვაო ძალებს, რაც იმის დემონსტრირება იყო, რომ სწრაფი ნაბიჯებით, რომელსაც უკრაინა გადადგამდა სამხედრო ძალის გაძლიერებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამით განიმტკიცებდა დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს სტატუსს, მაგრამ პოსტ-საბჭოურ რეალობაში, ბოლო წლებში, რუსეთის გაუკონტროლებელმა ქმედებებმა, უკრაინას მძიმე შედეგები მოუტანა და მისი საზღვაო ძალების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რამაც მას დააკარგვინა შავ ზღვაზე სამხედრო კონტროლის პოტენციალი.

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, უკრაინისთვის ისევე როგორც სხვა წევრი ქვეყნებისთვის, მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონში არსებული, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია(BSEC), რომელიც 1992 წლის 25 ივნისს შეიქმნა. ორგანიზაციის შექმნის მიზანი იყო რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობა. უკანასკნელ დეკადებში განვითარებულმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ეკონომიკური განვითარება და ახალი პროექტების განხორციელება, რომელიც რეგიონის წევრ ქვეყნებში და მათ შორის უკრაინაში

⁸ ნატო–ს საზღვაო ძალების ფრეგატები შავ ზღვაში; საქართველოს თავდაცვის აკადემია; 2 მაისი, 2015; <https://mod.gov.ge/ge/news/read/2258/nato-marine-commandership%E2%80%99s-permanent-group-2-of-marinesappers-in-black-sea>.

⁹ Stephen Foye; The Ukrainian Armed Forces: Prospects and problems; RFE/RL Research Report, 1/26, June 26, 1992; pp. 55–60, 56.

გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას, სამხედრო უსაფრთხოების გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია.

უკრაინის სამომავლო სამხედრო გეგმებში შედის, ფლოტის აღდგენა და 30 ახალი ხომალდის შექმნა 2020 წლისთვის. ნატო მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უკრაინას სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობების განვითარებაში და ეხმარება უკრაინას სანაპირო თავდაცვის და შავი ზღვის ფლოტის გაძლიერებაში, უკრაინა კი მონაწილეობას იღებს ალიანსის სხვადასხვა საზღვაო მისიებში.

2017 წელს, ყოველწლიური საზღვაო-სამხედრო წვრთნის „ზღვის ბრიზის“ ფარგლებში, უკრაინის აკვატორიას ესტუმრა ალიანსის წევრი 17 სახელმწიფოს საზღვაო ძალა. ალიანსსა და უკრაინას შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად, ნატო უკრაინას დაბალ ფასად მიჰყიდის მოძველებულ, თუმცა საბრძოლო მდგომარეობაში მყოფ ხომალდებს.¹⁰

1.2 რუმინეთი

ცივი ომის პერიოდში, რუმინეთი, ვარშავის პაქტის წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე დამოუკიდებელი იყო და ის ზოგჯერ, საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგაც გამოდიოდა. ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მან მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობები გააუმჯობესა. ის გახდა ნატოს წევრი 2004 წელს, ხოლო ევროკავშირში 2007 წელს გაწევრიანდა. რუმინეთი აქტიურად უჭერდა და დღესაც უჭერს მხარს, ნატოსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაძლიერებას და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.¹¹

¹⁰ Kyiv Post; NATO heightens maritime readiness with Ukraine, Black Sea allies Accessed; June 10, 2018.

<https://www.kyivpost.com/ukraine-politics/nato-heightens-maritime-readiness-ukraine-black-sea-allies.html>

¹¹ Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Romania and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2019-04/bp_1812_black_sea_romania.pdf

რუმინეთის საზღვაო ძალების დეკლარირებულ მიზნებიდან გამომდინარე, რუმინეთის საზღვაო ძალებს ოთხი ძირითადი მისია აკისრიათ.¹² მშვიდობიანობის პერიოდში, მათ ევალებათ აწარმოონ დაკვირვება, აგრეთვე მოახერხონ ტერორიზმისა და არალეგალური საქმიანობების თავიდან აცილება, თავისი მოსახლეობის სახიფათო ზონებიდან ევაკუირება და ჰიდროგრაფიულ და ნავიგაციურ კვლევებში მონაწილეობა. ასევე, რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით, ნატოს საზღვრების დაცვა და რეგიონალურ საზღვაო წვრთნებში აქტიური მონაწილეობა, რაც ეროვნული უსაფრთხოებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ რუმინეთი არ არის მთავარი მოთამაშე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების დღის წესრიგის ფორმირებაში. მას, ისევე როგორც რეგიონის სხვა დანარჩენ ქვეყნებს გააჩნია შიდა პრობლემები, როგორც არის ეკონომიკური არასტაბილურობა და გამოწვევები დემოკრატიის ტრანზიციის მიუხედავად ამისა, რუმინეთს, ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრობა ეხმარება, დახვეწოს მისი შიდა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და ხელი შეუწყოს რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას.

1.3 ბ უ ლ გ ა რ ე თ ი

ბულგარეთი, შავი ზღვის რეგიონის სახმრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოა, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესები გააჩნია. ის, ისევე როგორც რუმინეთი, იყო ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფო და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. საბჭოთა სახმედრო ნაწილებზე კონტროლის დაკარგვამ, მისი საზღვაო შეიარაღებისა და შესაძლებლობების შემცირება გამოიწვია. ბულგარეთმა, შეძლო და დაამყარა მეგობრული ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, ხოლო 2004 და 2007 წლებში,

¹² Romanian Defence 2004–2009 five years of NATO membership; Romanian Ministry of National Defence, Information and Public Relations Directorate, General Staff Public Relations Section 2010.

რუმინეთის მსგავსად, გახდა ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების სრულყოფილი წევრი, რის შემდეგაც დაიწყო მისი ეკონომიკური და სახმედრო გაძლიერება.¹³

მიუხედავად იმისა, რომ წევრობის შემდეგ, ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობდა ნატოს მისიებში, რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, 2016 წელს, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბულგარელების 28 პროცენტი ნატოს, ბულგარეთის დამცველად თვლიდა, ხოლო 20 პროცენტი კი მას საფრთხედ მიიჩნევდა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ბულგარეთისთვის.¹⁴

2016 წლის ივლისში, ნატომ შექმნა ბულგარულ-რუმინული, მულტიეროვნული ბრიგადა,¹⁵ რის შემდეგაც, უკრაინამ გამოთქვა სურვილი უკრაინა-ბულგარეთი-რუმინეთის ბრიგადის შექმნის თაობაზე, რასაც ნატოსა და ბულგარეთის მხრიდან, მხარდაჭერა არ მოჰყოლია. ასევე 2017 წელს, ბულგარეთმა უარყო რუმინეთის შეთავაზება, შავ ზღვაში ბულგარულ-რუმინულ-თურქულ ერთობლივი ფლოტის ჩამოყალიბებაზე, რაც გამოიწვია იმან, რომ ბულგარეთს შეეშინდა, რადგან რეგიონში გაზრდილი მილიტარიზაცია, უარყოფითად იმოქმედებდა ბულგარეთის ეკონომიკაზე, რაც ასევე უარყოფით გავლენას მოახდენდა ქვეყნის ტურიზმის ინდუსტრიაზე.¹⁶

ბულგარეთის თავდაცვის პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, არასოდეს ყოფილა ბოლომდე სრულყოფილი და გასაგები. როზევ პლევნელიევი, რომელიც ქვეყნის სათავეში იყო 2012 წლიდან 2017 წლამდე, მწვავედ აკრიტიკებდა რუსეთს და მის

¹³ Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Bulgaria and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2018-12/bp_1812_black_sea_bulgaria_1.pdf

¹⁴ Bulgarians divided in attitude towards NATO; Radio Bulgaria; March 19, 2019; <http://bnr.bg/en/post/101095301/bulgarians-divided-in-attitude-towards-nato>

¹⁵ Novinite; NATO to set up Romanian-Bulgarian multinational brigade; July 9, 2016; <https://www.novinite.com/articles/175377/NATO+to+Set+Up+Romanian-Bulgarian+Multinational+Brigade>

¹⁶ Ibid.

ქმედებებს. ის მტკიცედ უჭერდა მხარს შავი ზღვის რეგიონში ნატოს გაძლიერებას, ხოლო მისმა მემკვიდრემ, რუმენ რადევმა, რომელიც საჰაერო ძალების ყოფილი მეთაური იყო, ევროკავშირსა და ნატოსთან კარგი ურთიერთობების პარალელურად, რუსეთთან ახლო ურთიერთობები წამოიწყო და ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით, რუსეთის მხარდამჭერ განცხადებებსაც კი აკეთებდა, რამაც რეგიონში გამოწვევების რაოდენობრივი მაჩვენებელი, კიდევ უფრო გაზარდა.¹⁷

ბულგარეთს გამოწვევები შიდა პოლიტიკურ დონეზეც არ აკლია, ვინაიდან ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტი აფიქსირებდა მზადყოფნას, ებრძოლა მისი ქვეყნის ინტერესებისთვის, ეს კი ქვეყნის საშინაო სოციალური პოლიტიკის არასწორად წარმართვაზე მეტყველებს.

სხვადასხვა საშინაო თუ საგარეო გამოწვევებისა და პრობლემების მიუხედავად, ბულგარეთი აგრძელებს ნატოს ერთობლივ წვრთნებში აქტიურ მონაწილეობას. აღსანიშნავია 2017 წელს ჩატარებული ნატოს ერთობლივი სამხედრო წვრთნები სახელწოდებით „კეთილშობილი ნახტომი 2017“, რომელიც ბულგარეთში, საბერძნეთსა და რუმინეთში მიმდინარეობდა.¹⁸ ბულგარეთმა, წვრთნების ფარგლებში, პირველად გამოსცადა მისი შესაძლებლობები, რათა დარწმუნებულიყო, რომ ის არის მოწოდების სიმაღლეზე ნატოს ძალებს გაუწიოს, ლოჯისტიკური დახმარება, რაც მისთვისაც არის მნიშვნელოვანი ელემენტი, კრიზისის პერიოდში, ბულგარეთში ნატოს სწრაფი განთავსებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

¹⁷ Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Bulgaria and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2018-12/bp_1812_black_sea_bulgaria_1.pdf

¹⁸ Sofia Globe; NATO Operation Noble Jump: thousands of troops assemble in South-Eastern Europe; May 31, 2017; <https://sofiaglobe.com/2017/05/31/nato-operation-noble-jump-thousands-of-troops-assemble-in-south-eastern-europe/>

1.4 თურქეთი

ისტორიული მიმოხილვიდან გამომდინარე, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის, კავკასიასა და ყირიმის ნახევარკუნძულზე დომინანტური პოზიციის მოპოვების მიზნით გამართულ ბრძოლებში, შავი ზღვა, თურქეთისთვის ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელი იყო და მისმა წარმატებებმა, ის არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში, ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ საერთაშორისო მოთამაშედ აქცია, როგორც სამხედრო, აგრეთვე ეკონომიკური თვალსაზრისით.

მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა თურქეთის პოლიტიკური მიზნებისთვის, ყოველთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩებოდა. 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანება იყო უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება, ვინაიდან ნატოს რეგიონში სჭირდებოდა ძლიერი მოკავშირე, ხოლო თურქეთის ინტერესებს, შავ ზღვაზე საბჭოთა კავშირის გაზრდილი გავლენის ფონზე, საფრთხე ემუქრებოდა და ანკარაში ამას კარგად აანალიზებდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა აქტიურად დაიწყო რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და წახალისება. თურქეთი იყო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის(BSEC)ერთ-ერთი მთავარი თანადამფუძნებელი, რომელსაც რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენების პროცესში დიდი როლი უნდა ეთამაშა. აღსანიშნავია აგრეთვე BLACKSEAFOR(შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის სამუშაო ძალები)-ის შექმნა, რომელიც 2001 წელს დაარსდა ექვსი სანაპირო ქვეყნის მიერ და მიზნად ისახავდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას სანაპირო და სამიეზო ოპერაციებში, ჰუმანიტარული დახმარების სფეროში, გარემოს დაცვაში და ა.შ.

თურქეთს, შავი ზღვის რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ აქცევს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი, რომლებიც შავ და ხმელთაშუა ზღვას ერთმანეთთან აკავშირებს. ის ვალდებულია, ყოველგვარი ბარიერების გარეშე, უსაფრთხოდ გაატაროს სავაჭრო გემები, მაგრამ მონტროს კონვენციის მიხედვით, მას შეუძლია გარკვეული შეზღუდვები დაუწესოს სამხედრო ხომალდებს, რომლებსაც

სურთ შავი ზღვის აკვატორიაში შემოსვლა.¹⁹ მონტროს კონვენცია წარმოადგენს სამართლებრივ რეჟიმს თურქეთის სრუტეებისათვის, რომელიც 1936 წლიდან მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ ის არის საფუძველი იმ პოლიტიკური და სამხედრო ბალანსისა, რომელიც დაცული იყო შავი ზღვის რეგიონში ცივი ომის მანძილზე. ამ კონვენციას თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აღიარებს თურქეთის უფლებებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლზე და აკისრებს პასუხისმგებლობას მათ უსაფრთხოებაზე. მონტროს კონვენციის თანახმად სავაჭრო და სამეზავრო გემების თავისუფალი გადაადგილება შავ ზღვაში ნებადართულია, თუმცა, ის ზღუდავს იმ სამხედრო გემების ყოფნას ზღვაში, რომლებიც შავი ზღვის აუზის რომელიმე სახელმწიფოს არ ეკუთვნის. შავი ზღვის აუზის გარეთ მყოფი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი გემის შავ ზღვაში დარჩენის მაქსიმალური დრო 21 დღეა.²⁰

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თურქეთი და უკრაინა ბოლო დროის განმავლობაში, სამხედრო სფეროში თანამშრომლობას აღრმავებენ და ეს ნაბიჯები, განსაკუთრებით აქტიურად, ქერჩის სრუტეში განვითარებული მოვლენების შემდეგ ხდება. 2018 წლის 25 ნოემბერს, რუსეთის საზღვაო დაცვის ძალებმა ქერჩის სრუტეში იერიში მიიტანა უკრაინის გემებზე. ამ ინციდენტის შემდეგ ანკარასა და კიევს შორის ურთიერთობის გაღრმავება მნიშვნელოვანია, რადგან თურქეთი შავი ზღვის აკვატორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოთამაშეა. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების და დასავლეთთან კი პირიქით, დამაბულობის გაზრდის ფონზე, ოფიციალური ანკარა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში მკაფიო პოზიციას ინარჩუნებს. თურქეთი ყირიმის ანექსიას არ აღიარებს და საერთაშორისო ფორუმებზე უკრაინის ტერიტორიულ

¹⁹ Sanders Deborah; Maritime Power in the Black Sea; Corbett centre for maritime policy studies series; King's college London; UK 2014. P-43.

²⁰ 1936 Convention Regarding the Regime of the Straits; Montreux' Switzerland; July 20, 1936; <https://cil.nus.edu.sg/wp-content/uploads/formidable/18/1936-Convention-Regarding-the-Regime-of-the-Straits.pdf>

მთლიანობას უჭერს მხარს. ანკარასა და კიევს შორის თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზეც მკაფიოდ ჩანს. ანკარამ მხარი დაუჭირა გაეროს რეზოლუციას, რომელიც უკრაინის, საქართველოს, რუმინეთის, ბალტიისპირეთის და კიდევ რამდენიმე სხვა ქვეყნის მიერ იყო ინიცირებული და ყირიმის და აზოვის ზღვის მილიტარიზაციას გმობდა.²¹

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, დღეს ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები. თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მზადყოფნა გამოაცხადა რომ მიეღო რუსეთისგან S-400 ტიპის სარაკეტო სისტემა. S-400 სისტემა ნატოს სისტემებთან შეთავსებადი არ არის და ბოლო თვეებია, ეს იარაღი თურქეთსა და აშშ-ს შორის კამათის საგანია. აღსანიშნავია, რომ S-400 ტიპის სარაკეტო სისტემის პირველი პარტია, რუსეთის სატრანსპორტო ავიაციის 224-ე საფრენოსნო რაზმის კუთვნილმა „Ан-124-100-მა“ ანკარასთან განთავსებულ ავიაბაზაზე 2019 წლის 12 ივლისს ჩაიტანა.²²

აშშ-მ არაერთხელ გააფრთხილა თურქეთი, ნუ შეისყიდოდა რუსეთისგან S-400 სარაკეტო სისტემას. მაგალითად, მაიკ პენსმა 2019 წლის აპრილში განაცხადა, რომ: „თურქეთის მიერ \$2.5-მილიარდიანი S 400-ის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო

²¹ ლიკლიკაძე კობა; ბრუკს ტიგნერი: რუსეთი აშკარად ცდილობს გადასწიოს ზღვარი; რადიო თავისუფლება; 9 დეკემბერი, 2018; <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A1-%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%96%E1%83%A6%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98/29645927.html>

²² Taghvae Babak; <https://twitter.com/BabakTaghvae>; <https://scout-theaddistrict.blogspot.com/2019/07/400.html>

სისტემის რუსეთისაგან შესყიდვა წარმოადგენს დიდ საფრთხეს ნატოსათვის და ალიანსის სიძლიერისათვის“.²³

1.5 რუსეთი

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც ევროპულმა და ევროატლანტიკურმა სტრუქტურებმა, მიზნად დაისახეს გაფართოების პოლიტიკა, რუსეთის ფედერაციამ ხელოვნურად გააჭიანურა და გააჩაღა კონფლიქტები შავი ზღვის რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში, რადგან ამ პროცესისთვის ხელი შეეშალა, ვინაიდან ეს მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა²⁴ და მიზნად დაისახა მრავალპოლარულ სამყაროში ძალის ერთ-ერთ ცენტრად, ევრაზიული ძალის პოლუსად ჩამოყალიბება, რითაც შეძლებდა ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების აღკვეთას.²⁵

რუსეთისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს, ნატოს გაფართოება და მისი რუსეთის საზღვრებთან ახლოს ყოფნა წარმოადგენს. ამის შესახებ ნათლად წერია 2009 წლის რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიასა, რომელშიც შესწორებები 2015 წლის დეკემბერში შევიდა და 2010 წლის სამხედრო დოქტრინაში.²⁶

აღნიშნული პათოსიდან გამომდინარე, რუსეთმა 2014 წელს უკრაინაში მოახდინა შიდა დამაბულობის ინსპირაცია, რომელიც ომში გადაიზარდა. ამის შესახებ აშშ-ის იმ დროინდელი პრეზიდენტი, ბარაკ ობამა აცხადებდა, რომ: „რუსეთი პასუხისმგებელია ძალადობაზე უკრაინაში. ეს ძალადობა არის წახალისებული რუსეთის მიერ, სეპარატისტები გაწვრთნილები, შეიარაღებულები და დაფინანსებულები არიან

²³ Baldor Lolita; Pence warns Turkey against buying Russian air defence system; AP News; 4 April 2019; <https://www.apnews.com/93f14cca113946628efd20ba53c6ac1f>

²⁴ Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Russia and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2018-12/bp_1812_black_sea_russia_0.pdf

²⁵ ჩიტალაძე ანა; შავი ზღვის უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე; საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი; ივლისი 2018; <http://gip.ge/wp-content/uploads/2018/07/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-7.pdf>

²⁶ Военная доктрина Российской Федерации <http://static.kremlin.ru/media/events/files/41d527556bec8deb3530.pdf>

რუსეთის მიერ, რუსეთი განზრახ ხელყოფს უკრაინის სუვერენიტეტს და უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ყოფნა ამ ყველაფერს ნათელს ხდის მთელი მსოფლიოსათვის“. ²⁷ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება, რუსეთისთვის სხვა დანარჩენთან ერთად, ისტორიულ ხასიათსაც ატარებდა, ვინაიდან ყირიმის ნახევარკუნძულზე მდებარეობს სევასტოპოლის პორტი, სადაც საბჭოთა კავშირის პერიოდში, რუსეთის შავი ზღვის ფლოტი იყო განლაგებული. ²⁸ ანექსიის შემდეგ, სევასტოპოლის პორტმა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, რუსეთის მიერ სირიაში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს. ²⁹

სევასტოპოლის პორტს, რუსეთი ძირითადად სამხედრო თვალსაზრისით იყენებს სადაც განთავსებულია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის 80%, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ანექსიის მნიშვნელობას, რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილების პროცესში. ³⁰ აღსანიშნავია, რომ სევასტოპოლის პორტი, რუსეთის კუთვნილებაში მყოფი ერთადერთი პორტია, რომელიც არ იყინება და მისი გამოყენება წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება, ხოლო ეკონომიკური დატვირთვა ნოვოროსიისკის პორტს აქვს, რომელიც 3 თვის განავლობაში შტორმების გამო დაკეტილია.

საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის ამბიციებისა და მისწრაფებების შესაბამისი, ეროვნული საზღვაო სტრატეგიის დოკუმენტი³¹, რომელიც 2015 წლით თარიღდება და

²⁷ LoGiurato Brett; Obama: We don't have a strategy yet for ISIS; Business Insider; 28 August 2014; <https://www.businessinsider.com/obama-statement-ukraine-russia-iraq-2014-8>

²⁸ Cragg Guliver; The Crimean Port of Sevastopol, a Strategic link between Russia and Syria; France 24; 20 March 2019; <https://www.france24.com/en/20190320-focus-crimea-sevastopol-port-naval-base-russia-navy-syria-war-operations-trade-tartus>

²⁹ Ibid.

³⁰ ჩიტალაძე ანა; შავი ზღვის უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე; საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი; ივლისი 2018; <http://gip.ge/wp-content/uploads/2018/07/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-7.pdf>

³¹ Bugajski Janusz and Doran Peter; Black Sea Defended, NATO Responses to Russia's Black Sea Offensive; Center for European Policy Analysis(CEPA); https://docs.wixstatic.com/ugd/644196_41e1047ce39e422d926ce6985604de31.pdf

მიზნად ისახავს, რუსეთის მრავალრეგიონულ საზღვაო ძალად ჩამოყალიბებას. რუსეთის პოლიტიკა რეგიონში საკმაოდ აგრესიულია. 2008 წლის აგვისტოს ომმა, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მდებარე აფხაზეთის ოკუპაციამ (ცხინვალის რეგიონთან ერთად), ხოლო 2014 წელს ყირიმის ანექსიამ დიდწილად გამოიწვია რუსეთის გაძლიერება და არსებული ძალთა ბალანსის რღვევა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ “მონტროს კონვენცია”-ს, თურქეთის მსგავსად, რუსეთისთვისაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს შეთანხმება შავი ზღვის რეგიონში რუსეთის გავლენისა და პრივილიგიურებული მდგომარეობის გარანტია, ვინაიდან კონვენცია³² ზღუდავს არარეგიონალური სახელმწიფოების სამხედრო ხომალდების შემოსვლას და დიდი ხნით გაჩერებას შავი ზღვის აუზში, ეს კი სრულ თანხვედრაშია რუსეთის ინტერესებთან. რუსეთი დღემდე აგრძელებს შავი ზღვის მილიტარიზაციას, სადაც ანექსირებული ყირიმი ესკალაციის ცენტრის როლს თამაშობს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია ფლობს ბირთვული შესაძლებლობების იარაღსა და ბირთვულ პლატფორმებს შავი ზღვის აუზში,³³ რაც მნიშვნელოვნად ზრდის, მისი როგორც რეგიონის მთავარი მოთამაშის გავლენის სფეროებს და ხელს უშლის რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგის ჩამოყალიბებას.

შეზღუდული ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, რუსეთი საკუთარ არმიას კვლავ კოლოსალურ თანხებს ხარჯავს³⁴ და ცდილობს შეაჩეროს, რეგიონში დასავლეთის გავლენის სფეროების ზრდა. ამასთანავე, რუსეთის ფედერაციამ გაზარდა საზღვაო ძალები სევასტოპოლში წყალქვეშა ფლოტის

³² 1936 Convention Regarding the Regime of the Straits; Montreux' Switzerland; 20 July 1936; <https://cil.nus.edu.sg/wp-content/uploads/formidable/18/1936-Convention-Regarding-the-Regime-of-the-Straits.pdf>

³³ Schneider Alex; U.S. and NATO naval engagement with Russia in the Black Sea: historical patterns and current prospects; Naval Postgraduate School; September 2016; P-58; https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/50477/16Sep_Schneider_Alex.pdf?sequence=1&isAllowed=y

³⁴ Cooper Julian; Russian military expenditure in 2017 and 2018, arms procurement and prospects for 2019 and beyond, Changing Character of War; Centre Pembroke College; University of Oxford; February 2019; <https://static1.squarespace.com/static/55faab67e4b0914105347194/t/5c615f9fee6eb02f5351f2f3/1549885344986/Russian+military+expenditure+in+2017+and+2018+by+Cooper.pdf>

გაძლიერების შედეგად, როდესაც ფლოტს დაემატა გაუმჯობესებული, ექვსი ერთეული კიფო-კლასის წყალქვეშა ნავი და განავითარა გემთსაწინააღმდეგო და ჭურვსაწინააღმდეგო სისტემები.³⁵ თუმცა, მზარდი ამბიციებისა და ძალისხმევის მიუხედავად, მიმდინარე ეტაპზე რუსეთი, საკუთარი სამხედრო ძალით, როგორც რიცხოვნობით ისე ხარისხით, ბევრად ჩამოუვარდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობას და ხარისხს,³⁶ მაგრამ რუსეთის ფედერაცია დასავლეთისთვის, დღესაც ერთ-ერთ საშიშ ანგარიშგასაწევ ძალად რჩება და ამაში დასავლეთი მაშინაც დარწმუნდა, როდესაც რუსეთის სანაპირო დაცვის ხომალდები, 2018 წლის ნოემბერში ქერჩის სრუტესთან თავს დაესხნენ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მცირე საჯავშნო კატარლებს³⁷: „ბერდიანსკი“, „ნიკოპოლი“, და ასევე მცირე საბუქსირო კატარლა “იან კაპუ”-ს, რის შედეგადაც, რეგიონალური უსაფრთხოების საკითხი, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

³⁵ Why the Black Sea Matters; Hudson Institute; Center for American Seapower; Policy paper; January 2017; <https://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Why-the-Black-Sea-Matters-Policy-Paper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power-II-engl-A4-9ian2017-1.pdf>

³⁶ რუსეთის მზარდ საფრთხეს ალიანსი კოლექტიური თავდაცვის უპრეცედენტო გაძლიერებით პასუხობს; Eugeorgia.info; 3 აპრილი, 2017 <http://eugeorgia.info/ka/article/597/rusetis-mzard-safrtxes-aliansi-koleqtiuri-tavdacvis-uprecedento-gadzlierebit-pasuxobs/>

³⁷ რეზვიანშვილი ჯიმშერ; ქერჩის კრიზისი-ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს; რადიო თავისუფლება; 27 ნოემბერი, 2018; <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90/29624087.html>

თავი II. საქართველო და შავი ზღვის უსაფრთხოება

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების ჭრილში, საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების დღის წესრიგის წინაშე, გამოწვევები გაჩნდა მაშინ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა და ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო საქართველოს შავიზღვისპირეთის 200 კილომეტრიანი მონაკვეთი. ოკუპირებული აფხაზეთი სულ მალე, რუსეთის მძლავრ სამხედრო ბაზად გადაიქცა, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დასავლეთის წინააღმდეგ იყო და არის მიმართული.³⁸

ევროპისა და ცენტრალური აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო, ერთმანეთთან აკავშირებს ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეგიონებს, როგორცაა: ევროკავშირი, კავკასია და თურქეთი.³⁹ აღსანიშნავია, ბათუმისა და ფოთის პორტები, რადგან მათი სტრატეგიული მდებარეობა, თამაშობს მნიშვნელოვან როლს, გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური განვითარებისა და ენერგო რესურსების დივერსიფიცირების თვალსაზრისით,⁴⁰ რამაც პოზიტიური გავლენა უნდა იქონიოს სახელმწიფო უსაფრთხოების, ეკონომიკურ განვითარებასა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე.

რუსეთი ყოველთვის იყო საქართველოს განვითარებისა და მისი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის წინააღმდეგი, რადგან აანალიზებდა, რომ ევროპული საქართველო ნიშნავდა, სრულიად ახალ პროექტს, რომელსაც ევროპული ენერგო დამოკიდებულების ვექტორი ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიისკენ უნდა მოემართა.

³⁸ გახარია ჯემალი; შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროს კონვენცია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო; 21 ივლისი, 2016; <https://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/824--80-.html>

³⁹ Sanders Deborah; Maritime Power in the Black Sea; Corbett centre for maritime policy studies series; King's college London; UK 2014. P-116.

⁴⁰ Ibid.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის დღეს, ერთ-ერთ და ყველაზე დიდ გამოწვევას მისი ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენენ. 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე, რაც იყო საერთაშორისო სამართლის ნორმების მკაცრი დარღვევა, მაგრამ ამას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მყისიერი ნაბიჯები არ მოჰყოლია. საქართველო იძულებული გახდა, ამოქმედებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის(გაერო) ქარტიის 51-ე მუხლი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს აქვს თავდაცვის უფლება, იმ შემთხვევაში თუ მის სუვერენიტეტს ემუქრება საფრთხე, მაგრამ მიღებული ზომების შესახებ აუცილებლად უნდა ეცნობოს გაეროს უშიშროების საბჭოს.⁴¹

საქართველო-რუსეთის დაპირისპირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება სწორედ შავი ზღვის სანაპიროს კონტროლს უკავშირდება. ამავე დროს, შავი ზღვის დასავლეთ და სამხრეთ ნაპირები ნატოს კონტროლის ზონაშია მოქცეული, ვინაიდან ნატოს წევრი 3 სახელმწიფო შავი ზღვის რეგიონს მიეკუთვნება. რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ, რუსეთის კონტროლისა და მოქმედების არეალი განსაკუთრებით გაიზარდა და თურქული სამხედრო წარმომადგენლების განმარტებით, შავ ზღვას რუსულ ტბად ქცევის პერსპექტივაც გაუჩნდა. თავი რომ გავანებოთ რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების პერიოდულ დამაბზას, აშკარაა, რომ შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების გარემო განსაკუთრებით დაიძაბა და საქართველოს არა მხოლოდ დამატებითი სირთულეები შეექმნა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, არამედ მნიშვნელოვნად გაეზარდა სამხედრო აგრესიის განახლების საშიშროება.⁴²

⁴¹ Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice; San Francisco; 1945; <https://treaties.un.org/doc/publication/ctc/uncharter.pdf>

⁴² Horrel Steven; A NATO Strategy for Security in the Black Sea Region; Atlantic Council; October 2016; <http://www.atlanticcouncil.org/images/publications/NATO Strategy Black Sea Region web 1004.pdf>

2.1 არარეგიონალური გლობალური სახელმწიფოების ინტერესები საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში

როდესაც საუბარია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაა, ყურადღება უნდა მივაქციოთ არარეგიონალური სახელმწიფოების ინტერესებს, მათ მოქმედებებს და საქართველოსთან თანამშრომლობის მექანიზმებს, რომელიც შავი ზღვის რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავშირდება. ამ მიმართულებით აშშ-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ჯერ კიდევ 2018 წლის მარტში, ბათუმის პორტს 330 მილიონიანი ღირებულების ამერიკული ხომალდი, სახელწოდებით „იუკ ჰილი“ ეწვია.⁴³ ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ განაცხადა, რომ: „ასეთი მასშტაბის სამხედრო ხომალდი, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტი არის სადესანტო შესაძლებლობები, აშშ-დან პირველად გვესტუმრა. ჩვენ აშშ-თან ერთად ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას, მრავალეროვნულ წვრთნებს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ საზღვაო იქნება, სადესანტო შესაძლებლობების გამოყენებით.“⁴⁴ 2019 წლის იანვარში კი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მეორედ ეწვია აშშ-ის საზღვაო-სამხედრო ძალების ხომალდი „დონალდ კუკი“.⁴⁵

შეიძლება ითქვას, რომ საპორტო ვიზიტები, რომელიც აშშ-ს საზღვაო ძალებმა, ბოლო წლების განმავლობაში განახორციელა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ხაზს უსვამს ამერიკის როლს ნატოს მოკავშირეებისა და პარტნიორების კოლექტიური თავდაცვის სფეროში და ადასტურებს საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებული

⁴³ წულაძე ზაზა; USS Oak Hill-ის პირველი შემოსვლა საქართველოს წყლებში; ამერიკის ხმა; 20 მარტი, 2018; <https://www.amerikishma.com/a/georgia-uss-oak-hill-visits-batumi/4306914.html>

⁴⁴ Ibid.

⁴⁵ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდი „დონალდ კუკი“ შემოვიდა; საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიცია; 22 იანვარი, 2019; <http://bpg.gov.ge/ge/news/visits/saqartvelos-teritoriul-wylebshi-amerikis-sheertebuli-shtatebis-samxedro-sazgvao-dzalebis-xomaldi-donald-kuki-shemovida.page>

ნაკისრი ვალდებულებებისადმი ერთგულებას, რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშესაწყობად.

აშშ-ს, რომელიც ნავთობზე მოთხოვნილების 50%-ზე მეტს იმპორტული ნავთობის ხარჯზე იკმაყოფილებს და რომელსაც ნავთობი პოლიტიკურად არასტაბილური რეგიონიდან, სპარსეთის ყურიდან შემოაქვს, შავი და კასპიის ზღვის რეგიონების სახით სურს შექმნას „შავი ოქროს“ მიღების ალტერნატიული წყარო, რათა გააჩნდეს არჩევანის უფრო დიდი შესაძლებლობა და შემცირდეს დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ნავთობზე.⁴⁶

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ 2018 წლის ნატოს სამიტი, სადაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, ოფიციალურ ვახშამზე, ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის თანდასწრებით, მწვავედ გააკრიტიკა ნატო. ის უკმაყოფილებას ძირითადად გამოხატავდა იმაზე, რომ აშშ ხარჯავს ევროპის ქვეყნებზე მეტს, ევროპის უსაფრთხოებისთვის, ვიდრე ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან რუსულ ენერჯო რესურსებზე, რაც უსაფრთხოების კონტექსტში დიდ გამოწვევად რჩება.⁴⁷

შავი ზღვის რეგიონი, ისევე როგორც აშშ-სთვის, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვისაც დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს. 2013 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინპინმა ხელი მოაწერა ინიციატივას, სახელწოდებით: „ერთი სარტყელი, ერთი გზა“.⁴⁸ საყურადღებოა, რომ ეს გლობალური

⁴⁶ ჩიტაძე ნიკა; ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი; <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4---4---0-11--11-ka-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.5>=1>

⁴⁷ <https://www.youtube.com/watch?v=yO8RhG370w>

⁴⁸ Sautin Yevgen; China's Black Sea Ambitions; Foreign Policy Research Institute; December 2018; <https://www.fpri.org/wp-content/uploads/2018/12/bssp4-sautin.pdf>

ინიციატივა მოიცავს აზია-წყნარ ოკეანესა და ევროპას, ასევე ცენტრალურ აზიას, სამხრეთ აზიას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, დასავლეთ აზიას და აფრიკას.⁴⁹

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობა ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და იმავდროულად ყაზახეთის და ყირგიზეთის წევრობა მოსკოვის მიერ შექმნილ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, ასევე ჩინეთსა და რუსეთს შორის ბოლო პერიოდში გამოკვეთილი გეოპოლიტიკური დაახლოება, განსაკუთრებით ენერგეტიკულ სექტორში, ჰქმნის იმის ალბათობას, რომ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი და „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ ერთმანეთს შეერწყან, ან თუნდაც ითანამშრომლონ,⁵⁰ რაც საქართველოსთვის, როგორც შავი ზღვის რეგიონში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიციის მქონე სახელმწიფოსთვის, უსაფრთხოების მხრივ, დიდ გამოწვევად რჩება.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თანამედროვე ეტაპზე, რუსეთისთვის მთავარი არის არა იმდენად ეკონომიკური განვითარება, რამდენადაც ევრაზიაში გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერება,⁵¹ რისთვისაც გამოიყენება ეკონომიკური მექანიზმი, როცა რუსეთი ნებაყოფლობით უთმობს ენერგეტიკული რესურსების ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებს.⁵² სწორედ ამიტომ „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ შექმნა მოსკოვმა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის კონკურენტ პროექტად აღიქვა, რომლის მიზანიცაა ცენტრალური აზიის ქვეყნებზე მოსკოვის ზეგავლენის, პეკინის ზეგავლენით ჩანაცვლება.⁵³ აქიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის გეოკონომიკური ინტერესები, წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის გეოპოლიტიკურ

⁴⁹ პაპავა ვლადიმირ; ერთი სარტყელი-ერთი გზის ინიციატივა და საქართველო; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი(GFSIS); თბილისი 2017; გვ-4; <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf>

⁵⁰ Ibid.

⁵¹ Ziguu Li; The Greater Eurasian Partnership: Remodeling the Eurasian Order?; China International Studies; (March/April) 2017; P-61.

⁵² Ibid.

⁵³ Ibid.

ინტერესებთან, რამაც შავი ზღვის რეგიონში, უსაფრთხოების თვალსაზრისით, შეიძლება პოზიტიური შედეგები მოიტანოს, რადგან 2019 წლის 29 ივნისის დიდი ოცეულის, ტოკიოს სამიტის შემდეგ, დონალდ ტრამპის თვითერზე გაკეთებულ განცხადებაში⁵⁴ ნათლად ჩანდა, რომ აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ბოლო წლებში განვითარებული ეკონომიკური კონფლიქტი მოგვარების გზას დაადგა და დიდი ოცეულის დროს დონალდ ტრამპისა და სი ძინპინის შეხვედრამ, მათ სამომავლო ურთიერთობებზე საუბრის შესახებ, დადებითი შედეგი გამოიღო.⁵⁵

ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ თუ აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობები დადებით ფაზაში შევა, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, იმის გამო რომ აშშ-ს და ჩინეთს ამ რეგიონში დიდი ინტერესები გააჩნიათ, გარდაუვალი პროცესი გახდება, რაც რეგიონში შეამცირებს რუსეთის გეოპოლიტიკურ ზეგავლენის ალბათობას და უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რაც შედის აშშ-სა და ჩინეთის ინტერესებში.

შავი ზღვის რეგიონისთვის ისევე, როგორც საქართველოსთვის, უსაფრთხოების გარანტს წარადგენს ის ფაქტი, რომ აქტიურად განიხილება ევროკავშირსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის დამყარების შესაძლებლობა.⁵⁶ ამ კუთხით „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“ ჰქმნის ევროკავშირსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ ეტაპს.⁵⁷ საქართველოც და ჩინეთიც, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია. ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ, ჯერ ერთი, ხელი

⁵⁴ <https://twitter.com/realdonaldtrump/status/1145097774402342912>

⁵⁵ BBC News; G20 summit: Trumo an Xi agree to restart US-China trade talks; June 20, 2019; <https://www.bbc.com/news/world-48810070>

⁵⁶ Jia Liu; China Daily Europe; Walk the Talk on FTA Negotiations; China Daily Europe, July 7, 2017; http://europe.chinadaily.com.cn/epaper/2017-07/07/content_30026178.htm

⁵⁷ გოგოლაშვილი კახა; ახალი აბრეშუმის გზა: ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის ეტაპი; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი(GFSIS); ექსპერტის აზრი; თბილისი 2017; გვ-13-17. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/86-expert-opinion-geo.pdf>

მოწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას,⁵⁸ მეორე კი საქართველოს უკვე აქვს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან⁵⁹ და ასევე ხელმოწერილი აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან(European Free Trade Association-EFTA).⁶⁰ შესაბამისად, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის ვაჭრობა, მისი გაფართოება ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას ჩინეთის ევროკავშირთან დამაკავშირებელ ლოჯისტიკურ ჰაბად(რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზასა და შავ ზღვაზე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის განხორციელება)⁶¹ და, ამასთან ერთად, საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.⁶²

ზემოხსენებული პროექტების განხორციელებისთვის, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ვერ იქნება მხოლოდ ერთი სახელმწიფო, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ჰაბის ფუნქციას შეასრულებს, ვინაიდან მას კასპიის ზღვის აუზთან პირდაპირი გასასვლელი არ გააჩნია. შესაბამისად, აზერბაიჯანი იქნება მეორე სახელმწიფო, რომელიც შეითავსებს ამ ფუნქციას.

საყურადღებოა, რომ კასპიის ნავთობისა და გაზის საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირების გამო, საქართველო უკვე ასრულებს ენერგეტიკული რესურსების სატრანსპორტო ჰაბის როლს.⁶³ აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ, რომ აზერბაიჯანმაც პრაქტიკულად უკვე დაიძვეიდა

⁵⁸ Zhong Nan and Jingxi Xu; China, Georgia Sign FTA; The State Council the People's Republic of China; May 15, 2017. http://english.gov.cn/news/international_exchanges/2017/05/15/content_281475656216746.htm

⁵⁹ European Commission; Georgia Countries and Regions Trade; 22 February 2017, <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/>

⁶⁰ Agenda.ge; Georgia Makes New European Free Trade Deal; 6 June 2016; <http://agenda.ge/en/news/2016/1382>

⁶¹ Larsen Joseph; Georgia: The Black Sea Hub for China's "Belt and Road"; The Diplomat; May 25, 2017. <https://thediplomat.com/2017/05/georgia-the-black-sea-hub-for-chinas-belt-and-road/>

⁶² Ajeganov Boris; EU-China Trade to Bolster Security in the South Caucasus; The CACI Analyst, January 23, 2017; <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13423-eu%E2%80%93china-trade-to-bolster-security-in-the-south-caucasus.html>

⁶³ Boucher Richard; Opening of Caspian Basin Pipeline' U.S. Department of State, May 25, 2017, <https://2001-2009.state.gov/r/pa/prs/ps/2005/46745.htm>

ძირითადი რეგიონული სატრანსპორტო ჰაბის იმიჯი,⁶⁴ გამომდინარე აქედან, ჩანს, რომ ამ ორ ქვეყანას, ერთად აღებული, ცენტრალური სატრანსპორტო-ენერგეტიკული ჰაბის ფუნქცია უკვე გააჩნიათ.⁶⁵

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტში, ნათქვამია, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანია ენერგორესურსების იმპორტის დივერსიფიკაციის სტრატეგიის ფარგლებში, კასპიური რესურსების მოპოვება და ტრანსპორტირება უზრუნველყოს. ⁶⁶ 1995 წლიდან ევროკავშირის მხრიდან არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი ინიციატივა წარმოიშვა, თუმცა კონკრეტული შედეგის გარეშე. ევროპის გააქტიურება შესამჩნევი გახდა 2005 და 2009 წლების რუსეთ-უკრაინის გაზის კრიზისების დროს, როდესაც რუსეთის გაზსა და უკრაინის სატრანზიტო სისტემაზე დამოკიდებულების შემცირება ევროკავშირის სტრატეგიის ნაწილი გახდა. ევროპელთა გააქტიურებას 2014 წლის ყირიმის მოვლენებმაც შეუწყო ხელი, რადგან ევროპას რუსული გაზის ნახევარი უკრაინის გავლით მიეწოდება.⁶⁷

ნაბუკოს პროექტის ჩავარდნის შემდეგ,⁶⁸ ევროკავშირმა დაიწყო ალტერნატიული გზების ძიება, რადგან სურდა, რომ რუსეთის ენერგო რესურსებზე დამოკიდებულება შემცირებინა, ვინაიდან ეს უკანასკნელი საფრხეს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას. შეიძლება ითქვას, რომ ალტერნატიული გზა აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის(SCP), ტრანს ანატოლიისა(TANAP) და ტრანს ადრიატიკული(TAP) მილსადენების გაერთიანება და „შაჰ-დენიზ 2“ პროექტის მხარდაჭერა, რომელსაც

⁶⁴ Derr Kenneth T; Commitment in the Caspian: A Chevron Perspective on Energy and Economic Development; Chevron Corporation; October 20, 1998.

⁶⁵ Ismailov Eldar and Papava Vladimir; The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy; Stockholm 2016; CA&CC Press; pp. 103-106.

⁶⁶ Fact Sheets on the European Union; Energy Policy: General Principles; 2019; http://www.europarl.europa.eu/ftu/pdf/en/FTU_2.4.7.pdf

⁶⁷ კომახია მამუკა; ახალი დიდი თამაში ცენტრალურ აზიაში: ბრძოლა კასპიის ენერგო რესურსების ტრანსპორტირებისთვის; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი(GFSIS) თბილისი 2018; გვ-7; <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/97-expert-opinion-geo.pdf>

⁶⁸ მეურმიშვილი ია; ნაბუკო აღარ აშენდება; ამერიკის ხმა; 18 ივლისი, 2013; https://www.amerikishma.com/a/nabuqo_pipe_project/1704618.html

აზერბაიჯანული გაზი ევროპისთვის უნდა მიეწოდებინა.⁶⁹ აღნიშნული მილსადენების ჯამური მანძილი 1851კმ-ს შეადგენს. პროექტი წარმატებით განხორციელდა, ტრანს ანატოლიური(TANAP) მილსადენის მშენებლობა 2019 წლის ივნისში დასრულდა.⁷⁰ კომპანია SOCAR-ის ცნობით, პროექტი რამდენიმე მილიარდით ნაკლები დაჯდა, ვიდრე ნავარაუდები იყო და მისმა ღირებულებამ ჯამში 11.7 მილიარდი დოლარის ნაცვლად, 7 მილიარდი დოლარი შეადგინა.⁷¹ ტრანს ანატოლიური(TANAP) მილსადენი ჯამში 850 კილომეტრისაა. აზერბაიჯანული გაზი „შაჰ-დენიზი 2“-ის საბადოდან, საქართველოსა და თურქეთის გავლით, საბერძნეთის საზღვართან პირველად 18 ივნისს მივიდა.⁷²

ცხადია, რომ ზემოხსენებული პროექტების განხორციელება, ხელს უწყობს შავი ზღვის რეგიონში ეკონომიკურ უსაფრთხოებას და რუსეთის გავლენის შემცირებას სამხრეთ კავკასიის, შავი ზღვისა და აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რაც ავტომატურად შეამცირებს რუსეთის გავლენას ახლო აღმოსავლეთშიც, ეს კი რუსეთის ინტერესებისთვის უდიდეს გამოწვევად რჩება.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებიდან რუსეთმა ყველაზე კარგად მოირგო რეალიზმი, რომელიც „რეალპოლიტიკის“ სახელით აიხსნება. რუსეთმა გაანალიზა რა, საფრთხე, რომელიც მის ეროვნულ ინტერესებს ემუქრებოდა და იმოქმედა რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც არის სახელმწიფოს ინტერესების უზენაესობა, კონკურენციის დარეგულირება და დაიწყო კონვენციური და ჰიბრიდული ომების წახალისება და წარმოება, რადგან ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში მისი გავლენა არ შემცირებულა. ამ მიზნით რუსეთმა, სამხრეთ კავკასიის(SCP), ტრანს ანატოლიური(TANAP) და ტრანს

⁶⁹ Azerbaijani gas to make it to Europe by 2020-pipeline completed; Jamnews'Baku; July 3, 2019; <https://jam-news.net/azerbaijani-gas-to-make-it-to-europe-by-2020-pipeline-completed/>

⁷⁰ 7 მილიარდიანი პროექტი TANAP-ის მშენებლობა დასრულდა; Forbes Georgia; 5 ივლისი, 2019; <http://forbes.ge/news/6667/7-miliardiani-proeqti-TANAP-is-mSenebloba-dasrulda->

⁷¹ Ibid.

⁷² Ibid.

ადრიატიკული(TAP) მილსადენების პროექტის საპირწონედ 2018 წლის მაისში, დაიწყო „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობა, რომელმაც რუსული გაზი უსტ-ლუგა-ს პორტიდან, გერმანიის საპორტო ქალაქ გეიფსვალდში უნდა ჩაიტანოს.⁷³ რუსული გაზის რესურსების რაოდენობა, შეიძლება ითქვას 3-ჯერ აღემატება კასპიური გაზის რაოდენობას, რაც კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ევროპაში „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ს საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ და მასთან დაკავშირებულ რისკებზე დღემდე მსჯელობენ.⁷⁴ მიუხედავად ამისა, პროექტის რეალიზებისთვის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც ისევე როგორც ევროპისთვის, აგრეთვე შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოების უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

⁷³ Nord Stream 2; A new export gas pipeline running from Russia to Europe across the Baltic Sea; Gazprom.com; <http://www.gazprom.com/projects/nord-stream2/>

⁷⁴ Nord Stream 2 pipeline is against Europe's interest; Financial Times; <https://www.ft.com/content/53a811c4-a481-11e8-926a-7342fe5e173f>

თავი III. ანაკლიის პორტი - განვითარების ახალი პერსპექტივა საქართველოსთვის

ანაკლიის პორტი საქართველოს პირველი ღრმაწყლოვანი პორტია. ის აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით. უმაღლესი ხარისხის მომსახურებასთან ერთად, ეს ფაქტორები შეუწყობს ხელს პორტის პროდუქტიულობას, ეფექტურობასა და საიმედოობას. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და გახსნა 2020 წელს იგეგმება. მთლიანობაში, პორტი 9 ფაზად განვითარდება. ინვესტიციის საერთო რაოდენობა კი 2.5 მილიარდ დოლარს შეადგენს. პორტის სიღრმე 16 მეტრი იქნება, რაც საშუალებას მისცემს მას, მიიღოს 10,000 კონტეინერიანი (TEU) გემები.⁷⁵

საქართველო აბრეშუმის გზის “სარტყელი და გზის“ მარშრუტის სტრატეგიულად მნიშვნელოვან მონაკვეთზე მდებარეობს, ჩინეთსა და ევროპას შორის არსებულ ყველაზე მოკლე მარშრუტზე. ეს მას ტვირთის გადაზიდვის პროცესში მთავარ კარიბჭედ აქცევს ცენტრალური აზიისა და კავკასიის იმ რეგიონებში, რომელთაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ. ანაკლიის პორტი მოემსახურება ბაზრებს კავკასიის რეგიონში.⁷⁶

ანაკლი მდებარეობს ძველი სავაჭრო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე და ის წარმოადგენს ახალი აბრეშუმის გზის საკვანძო სატრანსპორტო წერტილს ჩინეთსა და ევროპას შორის. პორტის მდებარეობა, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები, ტვირთის მოზიდვის უმთავრესი მიზეზები იქნება. ამასთან, რეგიონში „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ინიციატივის მხარდასაჭერად მიმდინარე

⁷⁵ ანაკლიის განვითარების კონსორციუმი; ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი; <http://anakliadevelopment.com/ka/info/>

⁷⁶ Ibid.

ინფრასტრუქტურული პროექტები, სამომავლოდ, ევროპასა და ჩინეთს შორის ვაჭრობის გაძლიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.⁷⁷

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ აშშ-ჩინეთის დამაბული და რუსეთ-ჩინეთის დადებითი და დინამური ურთიერთობების ფონზე ჩინეთის არსებობა შავი ზღვის რეგიონთან საქართველოსთვის ნაკლებად სახარბიელო შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ამ ფაქტმა მოსალოდნელია აშშ-სთან ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს, რაც საქართველოს ინტერესებში ნაკლებად შედის.

აღსანიშნავია ის, რომ 2019 წლის 31 მაისს იაპონიის ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრომ (METI) ანაკლიის სპეციალური ეკონომიკური ზონის (SEZ) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის ჩასატარებლად გრანტი გამოყო. იაპონიის ელჩმა საქართველოში, უეჰარა ტადაჰარუმ განაცხადა, რომ: „ეს არის დასტური იმისა, რომ იაპონიას დიდი ინტერესი აქვს საქართველოს, როგორც ეკონომიკური დერეფნის მიმართ. იაპონია დაინტერესდა ჩვენი ეკონომიკური დერეფნით და აპირებს, ანაკლია აქციოს ბიზნეს და საწარმოო ჰაბად. იაპონური კომპანიებისა და „ანაკლია სითის“ შორის თანამშრომლობა ყოველთვის იყო ჩვენს დღის წესრიგში. ვიმედოვნებთ, რომ თანამშრომლობა მოხდება მაქსიმალურ დონეზე, რადგან იაპონური კომპანიებს შეაქვთ ხარისხი, ეფექტიანობა და უახლესი ტექნოლოგიები ყველგან, სადაც ოპერირებენ. ეს ჩვენთვის არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, გამოვიყენოთ იაპონიის სახელმწიფოს მხარდაჭერა და გავაძლიეროთ ეკონომიკური თანამშრომლობა იაპონურ კომპანიებსა და ანაკლიის პროექტს შორის, შესაბამისად, საქართველოსა და იაპონიას შორის“.⁷⁸

⁷⁷ Ibid.

⁷⁸ იაპონია ანაკლიის პორტით დაინტერესდა და გრანტი გამოჰყო; ბანკები და ფინანსები bmf.ge; 7 ივნისი, 2019; http://bfm.ge/iaponiis-mtavroba-anakliis-portit-dainteresda-da-granti-gamoyo/?fbclid=IwAR3y05Fy4AEHmQVb5WaKYRYA_bYXl2qqlrihDTibjNKpAeHKuPFud2QXUms

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტს ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია. ამის შესახებ განცხადება საქართველოს მე-5 პრეზიდენტის ყოფილმა საერთაშორისო მდივანმა, თენგიზ ფხალაძემ გააკეთა, როდესაც მან შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ვიზიტი აშშ-ში და მისი შეხვედრა სახელმწიფო მდივან მაიკ პენსთან, სადაც სახელმწიფო მდივანმა შეხვედრის დახურვის შემდეგ, პრემიერ-მინისტრთან ანაკლიის პორტის მნიშვნელობაზე და პროექტის დასრულების აუცილებლობაზე ისაუბრა.⁷⁹ თენგიზ ფხალაძის განცხადებით: „ანაკლიის პორტი არის იმ მნიშვნელობის პროექტი, რომელმაც უნდა გააძლიეროს და კიდევ უფრო უნდა გამოკვეთოს საქართველოს გეოპოლიტიკური ფუნქცია. ეს არის პროექტი, რომლითაც დაინტერესებულნი არიან სხვა ქვეყნებიც: რომლებსაც აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ინტერესი აქვთ. ამ კონტექსტში ანაკლიის პორტი საქართველოს წარმოაჩენს როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს, არა როგორც მხოლოდ დამაკავშირებელი ხიდის, არამედ ტვირთების შემკრებს. შესაბამისად, აქ არის და იქნება გადაჯაჭვული ძალიან ბევრი სახელმწიფოს ინტერესებიც. ცხადია, ასეთი დიდი კონცენტრაცია სხვადასხვა სახელმწიფოების, მათ შორის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ინტერესებისა, აძლიერებს მათ შორის ინტერესს საქართველოს უსაფრთხოებისადმი, შესაბამისად აძლიერებს იმ დაცულობის გარანტიებს, რომელიც გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს და აუცილებლად ექნება“.⁸⁰ საყურადღებოა ასევე ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომელიც თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრის პრეზიდენტ, თორნიკე შურულაიას ეკუთვნის. მისი განცხადებით: „თომას ჯეფერსონის ცენტრი უსაფრთხოების პრიზმიდან იკვლევს აღნიშნულ საკითხს. ეს არ არის მხოლოდ თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ლოჯისტიკური ჰაბი ან ტურისტული კლასტერი,

⁷⁹ რატომ ჩათვალა პომპეომ აუცილებლად ანაკლიაზე დახურული შეხვედრის შემდეგ საუბარი: სამი ექსპერტის მოსაზრება; Accentnews.ge; 12 ივნისი, 2019; http://accentnews.ge/newsdetails.php?lang=1&NewsID=1809&fbclid=IwAR1NOFSv25CI3i7-WR8Ou8LFBw-9_k_KVev3FiCypQ4dz3BBxvJ4t308xDA

⁸⁰ Ibid.

ეს არის მშვიდობის ზონა, უსაფრთხოების ჰაბი, აკადემიური ჰაბიც შეიძლება მომავალ პერსპექტივაში, რადგან იქ არის მწვანე ქალაქზე საუბარი. ჩვენ ვართ ნეგატიური მშვიდობის ფაზაში, ომი რომ არ არის, ეს არ ნიშნავს, რომ მშვიდობაა. ჩვენ უნდა გადავიდეთ პოზიტიური მშვიდობის ფაზაში, აქედან გამომდინარე უსაფრთხოებას ებმის მშვიდობა” - განმარტავს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში.⁸¹

⁸¹ ანაკლიის პორტი საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტი გახდება; თორნიკე შურლულაია; Business Media Georgia; 18 თებერვალი, 2019; <https://www.bm.ge/ka/article/quotanakliis-porti-saqartvelostvis-usafrtxoebis-garanti-gaxdebaquot-/29972>

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის თავში წარმოჩენილი ჰიპოთეზა დადასტურდა, ვინაიდან შავი ზღვის რეგიონში რუსეთის არაპროგნოზირებადი ქმედებები და დასავლეთის საპირწონედ გადადგმული ნაბიჯები ახალი „ცივი ომის“-ის ნიშნებს შეიცავს. დასავლეთი ცდილობს გააძლიეროს მისი გავლენა შავი ზღვის რეგიონში, რუსეთი კი ცდილობს ამ ფაქტის ნიველირება მოახდინოს და აღნიშნული რეგიონი თავისივე გავლენის სფეროდ აქციოს, რაც ევროპას, მასზე უფრო მეტად დამოკიდებულს გახდის.

გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შემდგომ კვლევას საჭიროებს, ვინაიდან შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების თემატიკა, დღითიდღე აქტუალური ხდება.

კვლევის განხორციელების შემდეგ, მივიღეთ გარკვეული შედეგები, რომლის მიხედვითაც ნათლად გამოჩნდა, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოები უფრო მარტივად უმკლავდებიან რეგიონში არსებულ გამოწვევებს ვიდრე არაწევრი სახელმწიფოები. საქართველ და უკრაინა ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით ცდილობენ თავი დააღწიონ უსაფრთხოების იმ გამოწვევებს, რომლებიც მათ წინააღმდეგ რუსეთის ქმედებებს უკავშირდება. ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, აშშ, ნატო და ევროკავშირი ინტენსიურად ცდილობს დახმარება გაუწიოს ორივე სახელმწიფოს და მათთან თანამშრომლობით მიაღწიოს შავი ზღვის რეგიონში, სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული წყაროები

1. 1936 Convention Regarding the Regime of the Straits; Montreux' Switzerland; July 20, 1936; <https://cil.nus.edu.sg/wp-content/uploads/formidable/18/1936-Convention-Regarding-the-Regime-of-the-Straits.pdf>
2. Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice; San Francisco; 1945; <https://treaties.un.org/doc/publication/ctc/uncharter.pdf>
3. European Parliament resolution of 20 January 2011 on an EU Strategy for the Black Sea; 20 January, 2011; <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0025+0+DOC+XML+V0//EN>

სამეცნიერო კვლევები და ინტერნეტ რესურსები

1. ანაკლიის განვითარების კონსორციუმი; ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი; <http://anakliadevelopment.com/ka/info/>
2. ანაკლისს პორტი საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტი გახდება; 18 თებერვალი, 2019; თორნიკე შურდულაია; Business Media Georgia; <https://www.bm.ge/ka/article/quotanakliis-porti-saqartvelostvis-usafrtxoebis-garanti-gaxdebaquot-/29972>
3. გახარია ჯემალი; შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროს კონვენცია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო; 21 ივლისი, 2016; <https://scara.gov.ge/2011-09-08-07-44-18/824--80-.html>
4. გოგოლაშვილი კახა; ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS); თბილისი 2018; <https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2651.pdf>

5. გოგოლაშვილი კახა; ახალი აბრეშუმის გზა:ევროკავშირისა და ჩინეთის თანამშრომლობის ეტაპი; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი(GFSIS); ექსპერტის აზრი; თბილისი 2017; <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/86-expert-opinion-geo.pdf>
6. თბილისში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს მხარდამჭერი დეკლარაცია მიიღეს; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; <http://mfa.gov.ge/News/tbilisshi-gamartuli-natos-saparlamento-asambleis-r.aspx?CatID=5&lang=ka-GE>
7. იაპონია ანაკლიის პორტით დაინტერესდა და გრანტი გამოჰყო; ბანკები და ფინანსები bmf.ge; 7 ივნისი, 2019; http://bfm.ge/iaponiis-mtavroba-anakliis-portit-dainteresda-da-granti-gamoyo/?fbclid=IwAR3y05Fy4AEHmQVb5WaKYRYA_bYXl2qqlrihDTibjNKpAeH_KuPFud2QXUms
8. კომახია მამუკა; ახალი დიდი თამაში ცენტრალურ აზიაში: ბრძოლა კასპიის ენერჯო რესურსების ტრანსპორტირებისთვის; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი(GFSIS) თბილისი 2018; <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/97-expert-opinion-geo.pdf1>
9. მეურმიშვილი ია; ნაბუქო აღარ აშენდება; ამერიკის ხმა; 18 ივლისი, 2013; https://www.amerikiskhma.com/a/nabuqo_pipe_project/1704618.html
10. 7 მილიარდიანი პროექტი TANAP-ის მშენებლობა დასრულდა; Forbes Georgia; 5 ივლისი, 2019; <http://forbes.ge/news/6667/7-miliardiani-proehti-TANAP-is-mSenebloba-dasrulda->
11. პაპავა ვლადიმირ; ერთი სარტყელი-ერთი გზის ინიციატივა და საქართველო; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი(GFSIS); თბილისი 2017; <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/93-expert-opinion-geo.pdf>

12. რატომ ჩათვალა პომპეომ აუცილებლად ანაკლიაზე დახურული შეხვედრის შემდეგ საუბარი: სამი ექსპერტის მოსაზრება; Accentnews.ge; 12 ივნისი, 2019; <http://accentnews.ge/newsdetails.php?lang=1&NewsID=1809&fbclid=IwAR1NOFSv25CI3i7-WR8Ou8LFBw-9 k KVev3FiCypQ4dz3BBxvJ4t308xDA>
13. რეხვიაშვილი ჯიმშერ; ქერჩის კრიზისი-ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს; რადიო თავისუფლება; 27 ნოემბერი, 2018; <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90/29624087.html>
14. რუსეთის მზარდ საფრთხეს ალიანსი კოლექტიური თავდაცვის უპრეცედენტო გამლიერებით პასუხობს; 3 აპრილი, 2017; Eugeorgia.info; <http://eugeorgia.info/ka/article/597/rusetis-mzard-safrtxes-aliansi-koleqtiur-tavdacvis-uprecedento-gadzlierebit-pasuxobs/>
15. საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიცია; საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდი „დონალდ კუკი“ შემოვიდა; 22 იანვარი, 2019; <http://bpg.gov.ge/ge/news/visits/saqartvelos-teritoriul-wylebshi-amerikis-sheertebuli-shtatebis-samxedro-sazgvaod-zalebis-xomaldi-donald-kukishemovida.page>
16. ჩიტალაძე ანა; შავი ზღვის უსაფრთხოება: თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები კონფრონტაციის ხაზზე; საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი; ივლისი 2018; <http://gip.ge/wp-content/uploads/2018/07/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98->

[%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-7.pdf](#)

17. ჩიტაძე ნიკა; ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი; <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.2E-4---4---0-11--11-ka-00---10-ru-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.5>=1>
18. წულაძე ზაზა; USS Oak Hill-ის პირველი შემოსვლა საქართველოს წყლებში; ამერიკის ხმა; 20 მარტი, 2018; <https://www.amerikiskhma.com/a/georgia-uss-oak-hill-visits-batumi/4306914.html>
19. Ajeganov Boris; EU–China Trade to Bolster Security in the South Caucasus; The CACI Analyst, January 23, 2017 <https://www.cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/13423-eu%E2%80%93china-trade-to-bolster-security-in-the-south-caucasus.html>
20. Azerbaijani gas to make it to Europe by 2020-pipeline completed; Jamenews’ Baku; July 3, 2019; <https://jam-news.net/azerbaijani-gas-to-make-it-to-europe-by-2020-pipeline-completed/>
21. BBC News; G20 summit: Trumo an Xi agree to restart US-China trade talks; June 20, 2019; <https://www.bbc.com/news/world-48810070>
22. Boucher Richard; Opening of Caspian Basin Pipeline’ U.S. Department of State, May 25, 2017, <https://2001-2009.state.gov/r/pa/prs/ps/2005/46745.htm>
23. Bugajski Janusz and Doran Peter; Black Sea Defended, NATO Responses to Russia’s Black Sea Offensive; Center for European Policy Analysis(CEPA); https://docs.wixstatic.com/ugd/644196_41e1047ce39e422d926ce6985604de31.pdf
24. Cragg Guliver; The Crimean Port of Sevastopol, a Strategyc link between Russia and Syria; France 24; 20 March 2019; <https://www.france24.com/en/20190320-focus-crimea-sevastopol-port-naval-base-russia-navy-syria-war-operations-trade-tartus>

25. Crimean War; History; November 9, 2009; <https://www.history.com/topics/british-history/crimean-war>
26. Cooper Julian; Russian military expenditure in 2017 and 2018, arms procurement and prospects for 2019 and beyond, Changing Character of War; Centre Pembroke College; University of Oxford; February 2019.
27. Derr Kenneth T; Commitment in the Caspian: A Chevron Perspective on Energy and Economic Development; Chevron Corporation; October 20, 1998.
28. Fact Sheets on the European Union; Energy Policy: General Principles; 2019; http://www.europarl.europa.eu/ftu/pdf/en/FTU_2.4.7.pdf
29. Georgia Makes New European Free Trade Deal; Agenda.ge; 6 June 2016; <http://agenda.ge/en/news/2016/1382>
30. Ismailov Eldar and Papava Vladimir; The Central Caucasus: Essays on Geopolitical Economy; Stockholm 2016.
31. Kyiv Post; NATO heightens maritime readiness with Ukraine, Black Sea allies Accessed; June 10, 2018. <https://www.kyivpost.com/ukraine-politics/nato-heightens-maritime-readiness-ukraine-black-sea-allies.html>
32. LoGiuratto Brett; Business Insider; Obama: We don't have a strategy yet for ISIS; 28 August 2014; <https://www.businessinsider.com/obama-statement-ukraine-russia-iraq-2014-8>
33. Nord Stream 2; A new export gas pipeline running from Russia to Europe across the Baltic Sea; Gazprom.com; <http://www.gazprom.com/projects/nord-stream2/>
34. Novinite; NATO to set up Romanian–Bulgarian multinational brigade; July 9, 2016; <https://www.novinite.com/articles/175377/NATO+to+Set+Up+Romanian-Bulgarian+Multinational+Brigade>
35. Sautin Yevgen; China's Black Sea Ambitions; Foreign Policy Research Institute; December 2018; <https://www.fpri.org/wp-content/uploads/2018/12/bssp4-sautin.pdf>

36. Sanders Deborah; Maritime Power in the Black Sea; Corbett centre for maritime policy studies series; King's college London; UK 2014.
37. Schneider Alex; U.S. and NATO naval engagement with Russia in the Black Sea: historical patterns and current prospects; Naval Postgraduate School; September 2016; https://calhoun.nps.edu/bitstream/handle/10945/50477/16Sep_Schneider_Alex.pdf?sequence=1&isAllowed=y
38. Sofia Globe; NATO Operation Noble Jump: thousands of troops assemble in South-Eastern Europe; May 31, 2017; <https://sofiaglobe.com/2017/05/31/nato-operation-noble-jump-thousands-of-troops-assemble-in-south-eastern-europe/>
39. Stephen Foye; The Ukrainian Armed Forces: Prospects and problems; RFE/RL Research Report, 1/26, June 26, 1992.
40. Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Romania and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2019-04/bp_1812_black_sea_romania.pdf
41. Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Bulgaria and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2018-12/bp_1812_black_sea_bulgaria_1.pdf
42. Stockholm International Peace Research Institute(Sipri) background paper; Russia and Black Sea Security; December 2018; https://www.sipri.org/sites/default/files/2018-12/bp_1812_black_sea_russia_0.pdf
43. Why the Black Sea Matters; Hudson Institute; Center for American Seapower; Policy paper; January 2017; <https://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Why-the-Black-Sea-Matters-Policy-Paper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power-II-engl-A4-9ian2017-1.pdf>
44. Zigu Li; The Greater Eurasian Partnership: Remodeling the Eurasian Order?; China International Studies; (March/April) 2017.

45. Zhong Nan and Jingxi Xu; China, Georgia Sign FTA; The State Council the People's Republic of China; May 15, 2017.
http://english.gov.cn/news/international_exchanges/2017/05/15/content_2814756562_16746.htm
46. შავი ზღვის დახასიათება https://ka.wikipedia.org/wiki/შავი_ზღვა